ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 358

"25" ივლისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კლასიკო 2020"-ს (ს/კ. 402010701) შორის 2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულებასთან" და ამავე ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალფა ფროფერთის" (ს/ნ. 404605094) შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებულ შეთანხმებასთან დაკავშირებით გასატარებელ რიგ ღონისძიებათა შესახებ საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ" და „დ.ზ" ქვეპუნქტების, 127² მუხლის მე-2 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების საფუძველზე, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კლასიკო 2020"-ს (ს/კ: 402010701) შორის 2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულებასთან" და ამავე ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალფა ფროფერთის" (ს/ნ 404605094) შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმებასთან დაკავშირებით გასატარებელ რიგ ღონისძიებათა თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 16 ივლისის №25.1192.1355 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კლასიკო 2020"-ს (ს/კ. 402010701) შორის 2021 წლის 29 აპრილს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულებით" და ამავე ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალფა ფროფერთის" (ს/ნ. 404605094) შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმებით წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობები დარეგულირდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 16 ივლისის №25.1192.1355 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული შეთანხმების პირობების შესაბამისად;

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიეცეს თანხმობა, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კლასიკო 2020“-ს (ს/ნ 402010701) შორის 2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალფა ფროფერთის“ (ს/ნ 404605094) შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმების მე-4 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის, ამავე შეთანხმების 30.1 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 16 ივლისის №25.1192.1355 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული შეთანხმების გაფორმებამდე დასაკისრებელი/დაკისრებული პირგასამტეხლოსგან, ამავე შეთანხმებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, შპს „ალფა ფროფერთის“ (ს/ნ 404605094) გათავისუფლებაზე;

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 16 ივლისის №25.1192.1355 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული შეთანხმების (შემდგომში: დამატებითი შეთანხმება) პირობების გათვალისწინებით, ქ. თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთის ს/კ: 01.16.03.058.062) განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის ფარგლებში ქონების მიმღებ პირთა ნაწილი განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 16 ივლისის №25.1192.1355 განკარგულების დანართი №2-ის შესაბამისად, აღნიშნულ პირთა მიერ დამატებითი შეთანხმებით გათვალისწინებული შესაბამისი საპრივატიზებო ვალდებულებების შესრულების პირობით. წინამდებარე პუნქტის საფუძველზე, ქონების მიმღებ პირთა განსაზღვრა გულისხმობს ამ პირთა უფლებამოსილებას კომპანიისგან მიიღონ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 16 ივლისის №25.1192.1355 განკარგულების დანართი №2-ით გათვალისწინებული ქონება ან/და დამატებითი შეთანხმების 5.5 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი ალტერნატიული შესრულება.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**